


ჯონსტიტუციონალიზმი

სომხური შენაწერი

50850 I



JMG & Partners



UDC(უაკ)342
კ-736

კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I
დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018

Constitutionalism, General Introduction, Book I
Edited by Dimitry Gegenava
Prince David Institute for Law Publishing, Tbilisi, 2018

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
Sulkhan-Saba Orbeliani University

© ავტორები, 2018

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2018

ISBN 9941-27-742-9 (ყველა წიგნისთვის)

ISBN 9941-27-743-6 (პირველი წიგნისთვის)

წინათქმა

კონსტიტუციონალიზმის შესავალში წიგნის გამოცემის იდეა დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტში ჯერ კიდევ 2014 წლის ბოლოსკენ გაჩნდა, მას შემდეგ, რაც „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ არნახული წარმატება მოიპოვა. წიგნის გამოცემა 2015 წელს იგეგმებოდა, თუმცა იდეის მასშტაბურობის, ავტორთა გადატვირთული განრიგისა და სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, მან დღის სინათლე მხოლოდ 2018 წელს იხილა.

„კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I“ სამტომეულის პირველი წიგნია და იგი ძირითადად კონსტიტუციონალიზმის თეორიის, სახელმწიფოსა და ადამიანის ძირითადი უფლებების, პოლიტიკური რეჟიმების თაობაზე ინფორმაციას მოიცავს. მეორე წიგნი მთლიანად დაეთმობა სახელმწიფოს მმართველობისა და ტერიტორიული მონყობის, ასევე, ძირითად საკონსტიტუციო ორგანოთა საკითხებს. მესამე წიგნში წარმოდგენილი იქნება სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან, ფინანსებთან და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ინსტიტუტებთან დაკავშირებული თემები.

ეს წიგნი სხვადასხვა შეხედულების, გემოვნებისა და მსოფლმხედველობის ადამიანთა ნაშრომების კრებული უფროა, ვიდრე ერთიანი, სისტემური სახელმძღვანელო. თითოეული თავი კონკრეტული ავტორის ინდივიდუალურ სტილშია შესრულებული და ერთიანდება თემატურად დალაგებულ ნაწილებში. აქ მოცემული ინფორმაცია კონსტიტუციონალიზმის მხოლოდ ზოგადი მიმოხილვაა და მიზნად არ ისახავს საკონსტიტუციო სამართლის სფეროთა სიღრმისეულ ანალიზს.

მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო იმ ავტორებს, რომელთა ნაშრომებიც შევიდა პირველ წიგნში. ეს მადლობა არა მხოლოდ მათი განუყოფელი სამუშაოსთვისაა, არამედ იმ მოთმინებისა და შემართებისთვის, რითაც გამოირჩეოდნენ გამოცემის მომზადების მთელ პროცესში. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის იურიდიულ კომპანია „ჯეი ემ ჯი და პარტნიორებს“, რომლის ფინანსური მხარდაჭერის შედეგადაც დაიბეჭდა წარმოდგენილი წიგნი. ასევე, დიდი მადლობა სულხან-საბა ორბელიანის